# საწვავის ფასი 18.26%-ით გაიზარდა



**„ახალგაზრდა ფინანსისტები“ აცხადებენ, რომ საქართველოში საწვავის ბაზარზე მიმდინარე პროცესები აცდენილია გლობალურ ტენდენციებს და დამოუკიდებლად ვითარდება.**

„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ დღეს საწვავის ბაზრის კვლევა წარადგინა, რომლის თანახმად 2016 წლის დეკემბრიდან 2017 წლის იანვრის ბოლომდე საწვავის ფასი ქვეყანაში 18.26%-ით გაიზარდა. „აფბას“ ინფორმაციით, 2016 წლის დეკემბრიდან 6-მა ნავთობიმპორტიორმა გაზარდა ფასები, მაშინ, როდესაც საწვავის ფასზე მოქმედი ყველა ძირითადი პარამეტრი უცვლელი იყო და არც აქციზის გადასახადი მოქმედებდა.

რაც შეეხება 2017 წელს, ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, კომპანიებმა ვითარება ხელოვნურად გაართულეს.